სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის სადოქტორო პროგრამა

I. **<u>სადოქტორო პროგრამის სახელწოდება:</u>** სადოქტორო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში/PhD Programme in European Studies

II. **<u>მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:</u>** ევროპისმცოდნეობის დოქტორი/PhD in European Studies

III. **<u>პროგრამის მოცულობა კრედიტებით:</u>** 60 (სასწავლო კომპონენტი), სწავლის სტანდარტული ხანგრძლივობა 6 სემესტრი

IV. **<u>სწავლების ენა:</u>** ინგლისური

V. **<u>სადოქტორო პროგრამის მიზანი</u>**

ევროპისმცოდნეობის ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის მიზანია ევროკავშირის ინტეგრაციის, მისი იურიდიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, ისტორიულ-კულტურული ასპექტების შესახებ კვლევების განვითარება, მაღალი დონის ახალი სამეცნიერო ცოდნის გენერირება და ამ სფეროს ექსპერტების მომზადება რეგიონული კონტექსტისა და ამ რეგიონში საქართველოს როლის გათვალისწინებით.

ევროკავშირის პატრონაჟით შექმნილი ინტერფაკულტეტური ევროპული კვლევების ინსტიტუტის მიზნებისა და კონცეფციის შესაბამისად, მნიშვნელოვანია არა მარტო ძლიერი კადრების მომზადება სხვადასხვა სამთავრობო თუ კერძო სტრუქტურებში პრაქტიკულ საქმიანობაში ჩასართავად, არამედ საგანგებო მისიაც, რომ ევროპისმცოდნეთა ახალმა თაობამ საკუთარ თავზე აიღოს მეტად მნიშვნელოვანი ვალდებულება, რასაც მეცნიერების განვითარება და პედაგოგიური საქმიანობა ჰქვია.

ევროპისცმოდნეობის სადოქტორო პროგრამა, ეყრდნობა რა უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს, ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის, ასევე თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის სტრატეგიული გეგმებით, ითვალისწინებს რა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგით განპირობებული შრომის ბაზრის მოთხოვნებს, - მიზნად ისახავს ევროკავშირთან დაკავშირებული საკითხების თეორიულ და პრაქტიკულ კვლევას ინტერდისციპლინური მიდგომის გამოყენებით, რაც იძლევა შესაძლებლობას იმისა, რომ მომავალმა დოქტორებმა ერთის მხრივ თავად შეძლონ ღრმა და ყოვლისმომცველი კვლევებისა და ანალიტიკური საქმიანობის განხორციელება ევროკავშირთან დაკავშირებით სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიული გადმოსახედიდან გამომდინარე, ხოლო მეორეს მხრივ, სტუდენტების მომავალ თაობებსაც გაუზიარონ სხვადასხვა აქტუალური სამეცნიერო პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული ახლებური მიდგომები.

VI. **<u>სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა</u>**

ევროპისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს მინიმუმ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელმაც აგრეთვე წარმატებით უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის გამოცდა B2 დონეზე, ან წარმოადგინოს შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ან მაგისტრის დიპლომი, რომელშიც სწავლების ენად მითითებული იქნება ინგლისური. ჩაბარების მსურველებს ასევე მოეთხოვებათ ინგლისურ ენაზე შესრულებული კვლევითი პროექტის (2500-3000 სიტყვა, რომელიც მოიცავს: ა)დისერტაციის სათაურს; კვლევის მიზნებს; კვლევით კითხვას/კითხვებს; კვლევის მეთოდოლოგიას; გამოსაყენებელი ლიტერატურის მიმოხილვას) წარმოდგენა და კომისიის წინაშე გასაუბრება.

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე უცხოელ სტუდენტებს (ან მოქალაქეობის არმქონე პირებს) უფლება აქვთ ჩააბარონ აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების სრული დაცვით.

VII. <u>სწავლის შედეგები</u>

კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

N	სწავლის შედეგები	
1	ცოდნა და გაცნობიერება	**დარგის/ქვედარგის ან დარგთაშორისი სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა თუ ინოვაციური მეთოდების გამოყენებისა და სწავლის ან საქმიანობის სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრების საშუალებას იძლევა (რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე). არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით (მათ შორის, სწავლის ან საქმიანობის სფეროს სისტემური და კრიტიკული გააზრება) ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება ინტერდისციპლინურ კონტექსტში.** კურსდამთავრებული • აყალიბებს ევროკავშირის მარეგულირებელ ეკონომიკურ, ფინანსურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ სტრატეგიებს, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა; • ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური სტრატეგიების ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებულ ფარგლებში აყალიბებს ევროკავშირში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისობას საზოგადოების განვითარების მოთხოვნებთან;

		) ცოდნის განახლებულ ფარგლებში აცნობიერებს ევროკავშირის ინსტიტუციების სტრატეგიებს, სამართალსა და პოლიტიკას გლობალიზაციის კონტექსტში თანამედროვე გამოწვევებთან მიმართებაში ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით;) აცნობიერებს რეფერირებადი პუბლიკაციისათვის შესაბამისი სტანდარტის ნაშრომის შემუშავების სტრატეგიებს და ტექნიკას; პრაქტიკაში შეუძლია გამოიყენოს სწავლა-სწავლების მეთოდები;) ამუშავებს ევროკავშირის ეკონომიკურ/ სამართლებრივ/ პოლიტიკურ სფეროს ფარგლებში მოძიებულ საკვლევ მასალას და იყენებს კვლევის რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს;) აცნობიერებს ევროკავშირის სამართლის, ასევე ევროკავშირის ეკონომიკის, საერთაშორისო ეკონომიკის, ფინანსებისა და ეკონომიკური სტრატეგიების უახლეს მიღწევებს არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებულ ფარგლებში;) ევროკავშირის ორგანიზაციული, ლეგიტიმაციისა და ხელშეკრულებების ცოდნის საფუძველზე, ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით აცნობიერებს ევროკავშირის გამოწვევებს გლობალურ კონტექსტში (სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებაში) ცოდნის განახლებულ ფარგლებში პერსპექტივების გათვალისწინებით; აცნობიერებს საქართველოს პერსპექტივას ევროკავშირისა და გაეროს სტანდარტების კონტექსტში.
2	უნარი	**2.1. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა; შემუშავება ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომებისა, რომლებიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.** კურსდამთავრებული) შეძლებს ევროკავშირის ფარგლებში ინსტიტუციონალურ, ლეგიტიმაციის, საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების, ასევე ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით არსებული პრობლემებისა და გამოწვევების ფარგლებში კვლევის თემატიკის განსაზღვრას, მისი აქტუალობის

		დასაბუთებას, კვლევის მეთოდების გამოყენების საფუძველზე ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, განხორციელებასა და ზედამხედველობას; - შეძლებს ევროკავშირის ეკონომიკის/პოლიტიკის/სამართლებრივი კუთხით ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავებას, რომელიც ახალი ცოდნის შექმნაზე იქნება ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში; - შეძლებს ევროკავშირის ფარგლებში თანამედროვე მოვლენებთან დაკავშირებული გამოწვევების გადასაჭრელად ინოვაციური გზების მოძიებას ევროპის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი პრინციპების სიღრმისეული ანალიზის, მიმდინარე მოვლენების ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების საფუძველზე და ინდივიდუალური კვლევის მეთოდების შემუშავებას; - შეძლებს პრობლემათა გადასაჭრელად ევროკავშირის ინსტიტუციონალური და მარეგულირებელი იურიდიული კონცეფციების, პოლიტიკური კონცეფციების გამოყენებას, დამოუკიდებლად მათ მისადაგებას კონკრეტულ აქტუალურ, პრობლემურ საკითხებთან, დარგობრივი ახალი ცოდნის გენერირებას, რომელიც ევროკავშირის ინსტიტუციური, ლეგიტიმური, პოლიტიკური წყობის გაუმჯობესების საწინდარი იქნება. **2.2. დასკვნის გამოტანის უნარი - ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, რითაც ხდება ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა. პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება.** კურსდამთავრებული - შეძლებს ევროკავშირის ფარგლებში არსებულ საკვლევ თემასთან დაკავშირებული წყაროების კრიტიკულ შეფასებას, ანალიზს, კვლევის პროცესში მათ რელევანტურ გამოყენებას; - შეძლებს კრიტიკული შეფასება მისცეს ევროკავშირის სამართლებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროში არსებულ ახალ, რთულ და წინააღმდეგობრივ იდეებსა და მიდგომებს; გააკეთოს მისი ანალიზი და ამის საფუძველზე ხელი შეუწყოს ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარებას ევროპული კვლევების სფეროში; შეძლებს პრობლემის გადაჭრისათვის სწორი

		და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას. **2.3. კომუნიკაციის უნარი – ახალი ცოდნის არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა ინგლისურ ენაზე.** კურსდამთავრებული - შეძლებს ევროპისა და ევროკავშირის ისტორიული პროცესების თანამედროვე პროცესებთან შედეგობრივ კავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენას; - შეძლებს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვას ინგლისურ ენაზე ევროკავშირის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იურიდიულ საკითხებსა და პრობლემებზე როგორც გლობალურ, ასევე რეგიონულ კონტექსტში.
3	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	**ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.** კურსდამთავრებული - შეძლებს აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ევროკავშირის ფარგლებში სამართლებრივ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციასთან, ასევე კულტურული მრავალფეროვნებისა და განსხვავებასთან კორელაციაში ევროპულ იდენტობასთან დაკავშირებული უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების და ღირებულებების დამკვიდრების გზებისა და განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელებას; ასევე, ამ პროცესში ინოვაციური კვლევითი მეთოდების შემუშავებას დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის დემონსტრირებით.

კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკა

შედეგი / **სასწავლო კურსი**	**ცოდნა და გაცნობიერება**	**უნარი**	**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**
აკადემიური წერა	X	X	
სწავლების მეთოდები	X	X	
კვლევის დიზაინი და სოციალური კვლევის მეთოდები	X	X	
ევროკავშირისა (სუპრანაციონალური) და გაეროს (უნივერსალური) - საერთაშორისო ორგანიზაციების შედარებითი ანალიზი	X	X	X
ევროპის ეკონომიკა	X	X	X
ევროკავშირის სამართალი	X	X	X
სასემინარო ნაშრომი	X	X	X
პროფესორის ასისტენტობა	X	X	X

VIII. <u>სწავლის შედეგების შეფასების გეგმა</u>

სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მთავარი ინდიკატორი არის სადისერტაციო ნაშრომი. თუმცა, რადგან დისერტაციის წარმოდგენა ხდება პროგრამის დასკვნით ფაზაში, მნიშვნელოვანია, დინამიკაში მოხდეს დისერტაციის მიღმა სასწავლო კომპონენტების შედეგების ეფექტური შეფასებაც, მთელი პროგრამის მიმდინარეობის განმავლობაში. გარდა იმისა, რომ შეფასება უნდა იყოს ვალიდური, სანდო და გამჭვირვალე, მნიშვნელოვანია ამ პროცესში მონაწილეობდეს პროგრამაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე. სწავლის შედეგების შეფასების მიზანი არ არის სტუდენტის კმაყოფილების კვლევის განხორციელება, არამედ პროგრამის სრულყოფა და გაუმჯობესება, ხოლო დოქტორანტისთვის ეფექტური და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სასწავლო და კვლევითი პროცესის უზრუნველყოფა.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებია:

- სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვიდან პირველი სემესტრის დასრულებისთანავე გადამუშავებული, დაზუსტებული და განახლებული კვლევითი პროექტის წარმოდგენა; ამ პროცესში როგორც დამოუკიდებელი ავტონომიური მიდგომის დემონსტრირება, ასევე სამეცნიერო ხელმძღვანელთან კოორდინაციის და სამუშაო პროცესში მიღებული მითითებების გათვალისწინება/ინტეგრაცია. კომპონენტის შეფასებას ახდენს სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალისგან შემდგარი საბჭო.

- პირველ სემესტრში შეთავაზებული კურსების სწავლის შედეგების ფაქტობრივად გამოყენების დემონსტრირება განახლებულ კვლევით პროექტში; კომპონენტის შეფასებას ახდენს კურსის ხელმძღვანელი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად და შედეგებს წარუდგენს სადოქტორო პროგრამის აკადემიური პერსონალისგან შემდგარ საბჭოს.

- პირველ და მომდევნო სემესტრებში შეთავაზებული კურსების სწავლის შედეგები შეფასდება პირდაპირი შეფასების მეთოდებით. კერძოდ, როგორც შუალედური და ფინალური გამოცდებისა თუ სწავლის შედეგების მიღწევის სილაბუსებით განსაზღვრული მეთოდების შეფასების მეშვეობით, ასევე საგანგებოდ ამ მიზნისთვის შედგენილი ქვიზებით, რომელსაც აკადემიური პერსონალი ჩაატარებს პერიოდულად სტუდენტთა მოსწრების, სწავლის შედეგების მიღწევისა და კურსის მიზნებიდან გამომდინარე კონკრეტული სამიზნე ნიშნულების გადალახვის დინამიკის გასაანალიზებლად. ქვიზში სტუდენტის მიერ მიღებული შედეგი საბოლოო შეფასებაში შესაძლებელია არ შევიდეს, როგორც კომპონენტი, თუმცა, ის იქნება მნიშვნელოვანი ინდიკატორი კურსის ხელმძღვანელისთვის სწავლების პროცესში გამოვლენილი სუსტი და ძლიერი მხარეების გასაანალიზებლად და მიმდინარე სასწავლო, თუ კვლევითი პროცესის საჭიროებების შესაბამისად დასაადაპტირებლად. ანალიზის შედეგს და დოქტორანტთა ჯგუფის პროგრესის დინამიკას ყოველი კურსის ხელმძღვანელი კურსის დასრულების ბოლოს წარუდგენს სადოქტორო პროგრამის აკადემიური პესონალისგან შემდგარ საბჭოს.

- კურსების „აკადემიური წერა“, ასევე „კვლევის დიზაინი და სოციალური კვლევის მეთოდები“ სწავლის შედეგების გაზომვა პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს სასემინარო ნაშრომების შესრულების ხარისხის ნიშნულით, ხოლო მომდევნო ეტაპზე დისერტაციის ცალკეული თავების (ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიულ-კონცეპტუალური ჩარჩო) შეფასების შედეგების განზოგადოებისა და ანალიზის საფუძველზე.

- კურსის „სწავლების მეთოდები“ სწავლის შედეგების გაზომვა მოხდება პროფესორის ასისტენტობის სხვადასხვა კომპონენტში მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე.

- კურსების „ევროკავშირისა (სუპრანაციონალური) და გაეროს (უნივერსალური) - საერთაშორისო ორგანიზაციების შედარებითი ანალიზი,“ „ევროპის ეკონომიკა“ და „ევროკავშირის სამართალი“ სწავლის შედეგების გაზომვა ხდება ამ კურსების ფარგლებში შესრულებული კვლევითი კომპონენტების (მაქსიმუმ 2500 სიტყვა) საბოლოო შეფასებით მინიმუმ 81-90 ქულა, **B,** კონკრეტული ნაკადის 35%-ში მაინც.

- სწავლის შედეგების შეფასება მოხდება, აგრეთვე, არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებითაც. სპეციალური კითხვარის მეშვეობით მოხდება სტუდენტთა გამოკითხვა, როგორც ყოველი

სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართების შეფასების, ასევე კურსისა და პროგრამის ურთიერთმიმართების კორელაციის შეფასების მიზნითაც.

- სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთი არაპირდაპირი მეთოდი იქნება დამსაქმებლის გამოკითხვა სათანადოდ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით; გამოკითხვის შედეგები გასაანალიზებლად წარედგინება სადოქტორო პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისგან შემდგარ საბჭოს.

- სწავლის შედეგების შეფასების მნიშვნელოვანი მექანიზმი არის დოქტორანტურის მე-3 და მომდევნო სემესტრებში რეფერირებად და რეცენზირებად ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებადი სასემინარო ნაშრომების წარმოდგენა. სასემინარო ნაშრომების შეფასება ხდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ, თუმცა, ამ კომპონენტში კრედიტის დაგროვება არ არის სწავლის შედეგის განმსაზღვრელი. ერთადერთი სამიზნე ნიშნული, რომელზეც შესაძლებელია მოხდეს შედეგის დადარება პროგრამის ფარგლებში არის რეფერირებად და რეცენზირებად ადგილობრივ თუ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებადი სასემინარო ნაშრომების წარმოდგენა, რაზეც რეკომენდაცია გაიცემა როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელის, ასევე ევროპისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის ბაზაზე შექმნილი ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის მიერ.

- სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მთავარი ინდიკატორი არის სადისერტაციო ნაშრომი. თითოეული ნაკადიდან დაცვის რაოდენობრივი სამიზნე ნიშნული შესაძლებელია იყოს მხოლოდ პირობითი, - გარე ფაქტორებზე კონტროლის მექანიზმის არ არსებობის გამო (პირობითად 25%-30% ფარგლებში თითოეული ნაკადიდან). ხელშესახები ნიშნული არის დაცული სადისერტაციო ნაშრომების მინიმუმ 35%-ის შეფასება საბოლოო შედეგით მინიმუმ magna cum laude/ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, 81-90 ქულა, **B**).

IX. <u>კარიერის პერსპექტივები</u>

ევროპისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს ღირებულ კომპეტენციებს სწავლებისთვის, დამოუკიდებელი კვლევის წარმართვისთვის და შემდეგ სფეროებში კარიერის განხილვის თვალსაზრისით:

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
- საჯარო სამსახური
- არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ევროპული ინსტიტუტები
- პოლიტიკური ორგანიზაციები
- კერძო სექტორი
- კონსალტინგური ორგანიზაციები
- მედია და საინფორმაციო ცენტრები

- დოქტორანტურის შემდეგი საფეხური

ევროპისმცოდნეობის დოქტორს შესაძლებლობა აქვს გააგრძელოს მაღალი აკადემიური ხარისხის კვლევითი საქმიანობა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

X. <u>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:</u>

- ვერბალური/ზეპირსიტყვიერი მეთოდი
- დისკუსია/დებატები/ევროკავშირის სიმულაცია
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
- შერეული სწავლების მეთოდი (Blended learning)
- შემთხვევის ანალიზი/დედუქცია/ინდუქცია/სინთეზი/ინტერპრეტაცია
- გონებრივი იერიში
- ქვიზი
- გუნდური მუშაობის მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- იმიტირებული სასამართლო პროცესის მონაწილეების ხელმძღვანელობა/დახმარება
- დემონსტრირების მეთოდი/პრეზენტაცია
- წერითი მუშაობის მეთოდი
- თანამედროვე ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდები/კვლევის დიზაინი

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ, რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო და/ან კვლევითი ამოცანიდან გამომდინარე.

XI. <u>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</u>

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით;

კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სისტემა:

ქულები	შეფასება
summa cum laude	ფრიადი (შესანიშნავი ნაშრომი)
magna cum laude	ძალიან კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება)
Cum laude	კარგი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება)
Bene	საშუალო (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს
Rite	დამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს)
Insufficienter	არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს)
sub omni canone	სრულიად არადამაკმაყოფილებელი (შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს)

ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო და დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტს ენიჭება ევროპისმცოდნეობის დოქტორის აკადემიური ხარისხი. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

XII. <u>სადოქტორო პროგრამის კომპონენტები:</u>

სასწავლო კომპონენტს ეთმობა - 60 ECTS კრედიტი, ხოლო კვლევით კომპონენტს წარმოადგენს დისერტაცია.

სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

1. **აკადემიური წერა** (დოქტორი გიული შაბაშვილი) - 10 ECTS;
2. **სწავლების მეთოდები** (დოქტორი ეთერ ღვინერია) -10 ECTS;
3. **კვლევის დიზაინი და სოციალური კვლევის მეთოდები** (დოქტორი დანიელა ურსე) - 10 ECTS;
4. **ორი სასემინარო ნაშრომის მომზადება** - 20 ECTS;

5. **პროფესორის ასისტენტობა** – 5 ECTS (რაც, გულისხმობს მინიმუმ ორი ან მეტი შემდეგი კომპონენტის შესრულებას: ა)ევროპისმცოდნეობის სამაგისტორო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების „მმართველობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი ევროკავშირში (ევროპის ინტეგრაციის თეორიები და ევროკავშირის ინსტიტუტები)“, „ევროკავშირის სამართალი“, „ევროკავშირში ინტეგრაციის ეკონომიკა“ და/ან „ევროპის ისტორია“ შესაბამისი პროფესორისთვის დახმარებას, სასწავლო კურსის მსვლელობაში მონაწილეობას მთელი სემესტრის განმავლობაში, პროფესორთან შეთანხმებით კურსის ფარგლებში კვლევითი პროექტის შემუშავებასა და დაწერას; ბ)თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტში შექმნილი ინოვაციური სწავლებისა და სწავლის მეთოდების ცენტრის ფარგლებში სპეციალურად დოქტორანტებისთვის ორგანიზებულ სასწავლო ტრენინგ-კურსებში მონაწილეობა და მიღებული შესაბამისი ცოდნის შედეგად სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთობლივად სილაბუსების შედგენა ან ცალკეული ლექციების მომზადება; გ) საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისთვის სწავლის ინოვაციური მეთოდების გამოყენებით ვიდეო-ლექციების მომზადება; დ)სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ მითითებული სხვა პრაქტიკული კომპონენტის შესრულება, როგორიცაა მაგალითად, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტების ქვიზების, ესსეების, პრეზენტაციების, შუალედური და ფინალური გამოცდების გასწორებაში დახმარება). პროფესორის ასისტენტობის კომპონენტი შესრულებად ჩაითვლება, თუ დოქტორანტი წარმოადგენს სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ დამოწმებულ სათანადო ფორმით შევსებულ, დეტალურ ანგარიშს.

სასწავლო კომპონენტის სხვა ელემენტები არჩევითია:

1. **ევროკავშირისა (სუპრანაციონალური) და გაეროს (უნივერსალური) - საერთაშორისო ორგანიზაციების შედარებითი ანალიზი** - (დოქტორი ქეთევან ხუციშვილი) - 5 ECTS;
2. **ევროპის ეკონომიკა** (დოქტორი მერაბ აბდალაძე) - 5 ECTS;
3. **ევროკავშირის სამართალი** (დოქტორი ნათია ლაპიაშვილი) - 5 ECTS
4. **პროფესორის ასისტენტობა** – 5 ECTS

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, საერთო საუნივერსიტეტო სქემის ფარგლებში ადგენს დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი წესით საჯარო დაცვას.

XIII. <u>სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:</u> **აკადემიკოსი, პროფესორი ლევან ალექსიძე; სამართლის დოქტორი პროფესორი ქეთევან ხუციშვილი; სამართლის დოქტორი ნათია ლაპიაშვილი.**

სადოქტორო პროგრამის კოორდინატორი: ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი ნინო ლაპიაშვილი.

XIV. <u>სამეცნიერო კვლევის მატერიალურ–ტექნიკური ბაზა</u>

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ევროპული კვლევების ინტერდისციპლინურ ინტერფაკულტეტურ ინსტიტუტს აქვს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი (მათ შორის სამი პროექტორი) და გარემონტებული 252 კვ. მეტრის ფართი, ორი საკლასო ოთახით, საკონფერენციო ოთახით, სამი კაბინეტით ადმინისტრაციული პერსონალისთვის და ბიბლიოთეკით.

თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შემენა თავდაპირველად მოხდა ინსტიტუტის დაარსებისთანავე 2007 წელს, ევროკომისიის TACIS პროგრამის ფარგლებში. მომდევნო ეტაპზე, ბიბლიოთეკა მნიშვნელოვნად განახლდა 2012-2014 წლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPI პროგრამის ფარგლებში. ასევე, 2017 წელს განხორციელდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ფუნდამენტური განახლება ევროკავშირის ტემპუსის INOTLES პროექტის ფარგლებში.

პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, მისი განხორციელებისას გამოიყენება ასევე იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების მატერიალური რესურსები. სტუდენტებს შეუზღუდავად მიუწვდებათ ხელი თსუ-ში მოქმედ ყველა ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზაზე.

XV. <u>სადოქტორო პროგრამაზე მისაღები დოქტორანტების რაოდენობა</u>

სადოქტორო პროგრამაზე მიიღება არაუმეტეს 15 დოქტორანტისა.

XVI. <u>სადოქტორო პროგრამაში მონაწილე პროფესორები</u>

სადოქტორო პროგრამაში მონაწილეობენ თსუ პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები, ასევე თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული აკადემიური პერსონალი.

XVII. <u>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა</u>

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა პირველ ეტაპზე განხორციელდა გრანტის (ENPI/2012/306-124) ფარგლებში. ხოლო გრანტის დასრულების შემდეგ დაფინანსება ხდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.